სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/93

ქ. თბილისი 21 ივლისი 2026 წ.

2026-2027 სასწავლო წლის პირველი (საშემოდგომო) სემესტრისათვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების „ქართულ ენაში მომზადების“ პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საქართველოს ტექნკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 18 ივნისის MES 8 26 0000753947 წერილის, სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის ბ-ნ ზაზა ბუაჩიძის სამსახურეობრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის N01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 18 ივნისის MES 8 26 0000753947 წერილის საფუძველზე

   - საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის N55 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებული მისაღებ სტუდენტთა რაოდენობიდან გამონაკლისი დაიშვება პირებისათვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე და რომლებიც 2025-2026 სასწავლო წელს ამავე პროგრამის დასრულების შემდგომ, სწავლას განაგრძობენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, საგანმანათლებლო პროგრამით.

- ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, არ აქვს იმ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელზე სწავლის გაგრძელებაც სურს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამათავრებულ პირს, აღნიშნული პირი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც 2026-2027 სასწავლო წელს უფლება აქვს განახორციელოს ამ პირისათვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა;

2. 2026-2027 სასწავლო წლის პირველი სემესტრში, ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდგეგი ვადები:

   - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ,,ქართულ ენაში მომზადების" პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ში რეგისტრაცია - 2026 წლის 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით;
   - სტუ-ის ,,ქართულ ენაში მომზადების" პროგრამის კურსდამთავრებულთა რეგისტრაცია - 2026 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით;
   - ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა შესახებ სტუ-ის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2026 წლის 21 სექტემბრისა;
   - დამტკიცდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია დანართი 1-ის შესაბამისად;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებისან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღაშენებლის ხეივანი N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი: **ი. კუტუბიძე**

დანართი 1

<u>რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:</u>

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) დედანი და ასლი;
    - უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დედანი და ასლი;
    - არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, წარსადგენია პირის დაბადების მოწმობა ასლთან ერთად და სავალდებულოა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან დოკუმენტი ასლთან ერთად.

2. გამომშვები უსდ-დან ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პოგრამაზე პირველადი ჩარიცხვისა და დამთავრების ბრძანებების დამოწმებული ასლები;

3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერთიფიკატი (დედანი);

4. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) დედანი და ასლი;
    - სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი; - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის;

6. 2 ფოტოსურათი (3x4).